

Tinatini Dzodzuashvili

თინათინი ძოდუაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**Shio Aragvispireli's Novella "Memory" –
for a Discourse on the Inner World and Creativity of an Immigrant Writer**

**შიო არაგვისპირელის ნოველა „მოგონება“ –
ემიგრანტი მწერლის შინაგანი სამყაროსა და შემოქმედების შესახებ დისკურსისთვის**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10837>

At various times, Georgians living and working abroad for political purposes played a major role in guiding and shaping Georgian literary processes. Such was the "Georgian Liberation League", which was formed in 1892 by students living in Warsaw. Shio Aragvispireli, who was in exile, was imprisoned for nine months, during which time he wrote the novella "Memory." In the story, the writer shows us how a single childhood "harmless" pastime can influence a person's personal and spiritual transformation. By understanding the value of the work created by Shio Aragvispireli while in exile, the writer's work and the cultural and literary significance of his work as an emigrant writer will be discussed.

Keywords: Emigration, Emigrant writers, Shio Aragvispireli, Georgian emigration, Memory

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, ემიგრანტი მწერლები, შიო არაგვისპირელი, ქართველი ემიგრაცია, მოგონება

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული მწერლობისთვის. ამ პერიოდში მართალია ისევ რეალისტი მწერლების იდეები და წერის სტილი დომინირებდა, თუმცა 80-იანი წლებიდან სამწერლობო ასპარეზზე გამოვიდნენ ხალხოსანი მწერლები, რომლებმაც თავიანთი ხელწერა და ტენდენციენი შემოიტანეს, ნატურალისტური სტილისთვის დამახასიათებელი მეთოდებით.

ამ პერიოდში მოღვაწე მწერლები და სახელმწიფო მოღვაწეები თვლიდნენ, რომ მათი გაერთიანებული ძალებით ბრძოლა სამშობლოს გასათავისუფლებლად ყველა ქართველის მოვალეობა იყო, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ მოსაზრებას ემსახურებოდა 80-იანი წლებიდან ქართველი მწერლების სალიტერატურო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

შიო არაგვისპირელი ქართულ მწერლობაში ფსიქოლოგიური ნოველის შემომტანად ითვლება, რაც იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების აზრით, „გამოფიტული“ მწერლობისთვის ახალი სიცოცხლის და ენერჯის მანიშნებელი იყო. სამწერლობო ასპარეზზე არაგვისპირელმა მალევე დაიმკვიდრა ადგილი წერის განსხვავებული სტილით – მოვლენათა სიღმისეული, ზუსტი და მხატვრული აღწერით.

შიო არაგვისპირელის ცხოვრებისეული და სამწერლობო შეხედულებების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა თბილისის სასულიერო სემინარიაში გატარებული პერიოდმა. ის როგორც გარდაცვლილი მღვდლის ობოლი შვილი, ძმასთან ერთად მოაწყვეს განათლების მისაღებად. იქ, მან გაიცნო ახალგაზრდები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ არც სემინარიაში დამყარებულ რეჟიმს

და არც ქვეყნის განვითარების გეზს, აყალიბებდნენ თანამოაზრეთა ჯგუფებს, ეცნობოდნენ ქართულ და უცხოურ, აკრძალულ ლიტერატურას და ავითარებდნენ თვალსაწიერს. ყოველივე ამან, მყარი საფუძველი ჩაუყარა შიო არაგვისპირელის როგორც სამწერლობო საქმიანობას, ისე საზოგადოებრივს.

მწერალმა სემინარიის დასრულების შემდეგ აღმოაჩინა, რომ საერთოდ არ იყო მზად დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად. ამისათვის სრულიად მოუმზადებლად თვლიდა თავს. მისი აზრით, სემინარიაში რწმენაც კი წაართვეს, გაღრმავების ნაცვლად და ამ ფონზე, მისი მხრიდან მღვდლობა არ იქნებოდა სწორი – „რა მღვდელი უნდა ყოფილიყავი, როდესაც ნატამალი რწმენისა აღარ დამრჩენოდა“ (არაგვისპირელი, X8 16066-b).

მისივე თქმით, მიუხედავად ღვთისმოყვარეობისა, მას საღმრთო სჯულის, მღვდლისა და საყდრის ხსენება ზიზღს ჰკვირდა, რადგან საღმრთო საგნებს დამახინჯებულად ასწავლიდნენ და წირვა-ლოცვაც უწესო გზით და ძალდატანებით ტარდებოდა სასულიერო სემინარიაში.

შიო არაგვისპირელს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში მის თანამოაზრეებთან ერთად ჩუმად ჩამოუყალიბებია წრე, სადაც ქართულსა და აკრძალულ ლიტერატურას ეცნობოდნენ. ეს იყო ერთგვარი საპროტესტო აქტი წყობილების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდებისა. ამიტომ უჭირდა მას სემინარიაში ყოფნის პერიოდში არსებულ რეჟიმთან შეგუება და სასწავლებლის დასრულების შემდეგაც, ძალიან გაუჭირდა ფეხზე მყარად დადგომა. ეძებდა სხვადასხვა სამსახურს და ცდილობდა თანხაც შეეგროვებინა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასასვლელად. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, როცა რკინიგზის კანტორაში დაიწყო მუშაობა, შეხვდა ევროპამოვლილ ამხანაგს, რომელმაც მას საზღვარგარეთ გამგზავრება ურჩია.

არაგვისპირელს ჰქონდა მცდელობა გაჭირვებული ცხოვრებისგან თავის დასახსნელად სხვა სამსახური ეპოვნა, თუმცა მისი ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის უკან პლანზე რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ცდილობდა თანხის შეგროვებას უმაღლესი განათლების მისაღებად. იმ პერიოდში სემინარიადამთავრებულ სტუდენტებს მხოლოდ ვარშავის და ტომსკის უმაღლესი სასწავლებლები ღებულობდნენ, ამიტომ გადაწყვიტა ვარშავის საბეითლო სასწავლებელში მოწყობა და 1890 წელს გაემგზავრა კიდეც. შიო არაგვისპირელის თქმით, გზა ვარშავამდე გემით, მისთვის ბევრად უფრო ღირებული გაკვეთილის მომცემი იყო, ვიდრე სემინარიაში გატარებული რამდენიმე წელი.

შიოს უახლოესი მეგობარი და ქართველ ვარშაველთა საზოგადოების წევრი ალ. მიქაბერიძე ასე ახასიათებს მას:

„მუდამ ჩუმი, მუდამ – წყნარი, მუდამ თავაზიანი შიო, როცა საზოგადოებაში მოხვდებოდა, ერთიანდ გამოიცივლებოდა. საზოგადოებაში ყოფნა, საზოგადოებაში ტრიალი შიოს სიამოვნებდა და კიდეც საჭიროდაც მიაჩნდა. შიოს გონივრული, მოფიქრებული და მუდამ დამშვიდებული ლაპარაკი ყველას ხიბლავდა და ატყვევებდა... ყველა მის აზრსა და შეხედულებას ანგარიშს უწევდა... შიო საკითხისადმი სწორი და პირუთენელი მიდგომით ამხანაგთა შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა“!. ასეთ აქტიურ, შეგნებულ მუშაობაში მიმდინარეობდა შიოს ცხოვრება და საქმიანობა ვარშავის სავეტერინარო ინსტიტუტში სწავლის დროს (ზანდუკელი, 1966, გვ. 18).

ემიგრაცია განსაკუთრებით ამძაფრებს სამშობლოს სიყვარულს. ასე მოხდა ვარშავის სხვადასხვა უნივერსიტეტში გაზნეულ ქართველთა შორის, რომლებმაც ჩამოაყალიბეს საზოგადოება – „ლიგა საქართველოს თავისუფლებისა“, შექმნეს თავიანთი წესდება და შეუდგენენ ამის გავრცელებას, რაც უპირველესად წევრების პიროვნულ განვითარებას გულისხმობდა. კერძოდ, გამოიქერეს საინტერესო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები საქართველოდან და შეკრებების დროს მართავდნენ დებატებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო. აღნიშნულ გაერთიანებაში მონაწილეობისთვის 1894 წელს არაგვისპირელი დააპატიმრეს.

შიო არაგვისპირელის მოგონებებიდან:

„სამშობლოს სიყვარული ვარშავაში სიგიჟემდე მივიდა... იქ შევექმენით ერთგვარი წრე, ქართველთა შორის, „ლიგა საქართველოს თავისუფლებისა“, შევიმუშავეთ წესდება და შევუდევით ამის გაგრძელებას“!

ამ ფაქტის შესახებ საუბრობს ასევე, ალ. მიქაბერიძე თავის „მოგონებაში“, რომ:

„ფილიპე მახარაძემ, ნოე ჟორდანიამ, შიო არაგვისპირელმა და სხვა ახლად ჩამოსულმა სემინარიელებმა პირველყოვლისა, ვარშავაში უმაღლეს სასწავლებელში ქართველ სტუდენტთა წრე, ქართველ სტუდენტთა სათვისტომო ჩამოაყალიბეს. ამ წრეს, თანახმად შემუშავებული წესდებისა, მიზნად ჰქონდა დასახული წრის წევრთა თვითგანვითარება, წრეში სისტემატურად მეცადინეობის სახით“ (მიქაბერიძე, მწერალთა მუზეუმი, № 13 147-ბ, 16).

„საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ საქმიანობის გამო შიო არაგვისპირელი დააპატიმრეს სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად და ცხრა თვე იყო საპატიმროში, რის გამოც 1894 წელს დაამათავრა მან ვარშავის სავეტერინარო ინსტიტუტი. დაპატიმრებულებს ბრალად ედებოდათ საიდუმლო საზოგადოების შედგენა და ძველი რუსეთის არსებული წეს-წყობილების დანგრევა.

შიო არაგვისპირელის პირადი მიმოწერებიდან საინტერესოა მისი წერილი ანა გიორგის ასულ ხახუტაშვილთან, რომელიც მთარგმნელ ივანე ასლანიშვილის მეუღლე იყო.

„ვარშავაში დაპატიმრებული რომ იყო, იმ დროის ამბები შიომ ასე მომიყვა: „დიდ ტან-ჯვას განვიცდიდი. ხელმწიფის ოხრანკა ციხეში მაწამებდა ფიზიკურად და მორალურად: ხან მცემდნენ, ხან თავს ელექტრონებს მადებინებდნენ. მე მეშინოდა, ვაითუ სულის სისუსტე დამემართოს და გავცე ამხანაგები. ამიტომ გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ როგორ და რითი? დიდი გაჭირვებით გავტეხე ძალიან სქელი შუშა და პირაღმა მის წვეტზე დავეყვი, ისე რომ გული გამეხვრიტა. გული წამივიდა და ბევრი სისხლი დავკარგე, სანამ მომესწრო საშველი. იმის მერე დამეწყო ხველა, რომელიც დღესაც არ მშორდება“ (ანა ხახუტაშვილი, „მოგონება“, მწერალთა მუზეუმი, №20554-ბ).

მწერლისთვის საბყრობილეში ყოფნა გაუსამღისი იყო არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ემოციურადაც და მორალურადაც. თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში, ცდილობდა მისი ნააზრევი ფურცლებზე გადმოეცა. ცუდი ფაქტია, რომ მისი ბევრი ხელნაწერი გაანადგურეს და გააქრეს.

„ცხრა თვე ვიყავი მარტოობაში... მაშინ ბევრი ხელნაწერი წაიღეს. აუარებელი ჩონჩხი მქონდა (ნაწარმოებთა – მ. ზ.), ყველა დამეკარგა. 1894 წელმა ჩანთქა, 1886 წლიდან განზრახული და ჩონჩხად ჩამოსხმული მოთხრობები“...! (არაგვისპირელი, მწერალთა მუზეუმი, № 16 066-ბ.).

შიო არაგვისპირელი ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში აღნიშნავს, რომ წერა საკმაოდ ადრე დაიწყო მაგრამ მორიდებულობის გამო ფსევდონიმით აგზავნიდა ჟურნალის რედაქციაში ნაშრომებს. თავიდან იწუნებდნენ კიდევ არაგვისპირელის ნოველებს. 1890 წლიდან დაიწყო მისი ნაშრომების გამოქვეყნება, რომელთაგან პირველი იყო ჟურნალ „ჯეჯილში“ დაბეჭდილი მოთხრობა „მოგონება“.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში იგრძნობა გარემოებებისა და აღწერილი პრობლემური თემების კარგად ცნობა. ამიტომ ერთი შეხედვით ყოფითი, სოციალური თემები გადმოცემული აქვს ღრმა ფსიქოლოგიზმით, რომელიც ასევე იძენს განზოგადებულ სახეს ცხოვრებისული პრობლემებისას.

ნოველებში შემოტანილი თემებით შიო არაგვისპირელი გმობს საზოგადოებისთვის სანიმუშო და სამაგალითო ფენების არასახარბიელო ქმედებებს. არ ერიდება რელიგიური თემების წამოწევას და მღვდლების უმსგავსი ქმედებების წარმოჩენას, შრომისგან დაბეჩავებული გლეხების მიმეცხოვრების ფონზე. შიო არაგვისპირელისთვის ამგვარ სიყალბესა და ფარისევლობაში ყველაზე წმინდა, ჰუმანურობითა და ადამიანური უნარებით შემკული, დაბალი სოციალური წრიდან წამოსული ადამიანები იყვნენ. ავტორს სჯეროდა, რომ ამ ადამიანების გულებში ჯერ კიდევ შემორჩა წრფელი სიყვარული ერთმანეთისა თუ სამშობლოს მიმართ. ამიტომ მისი შემოქმედების უმეტესი პერსონაჟებიც დაბალი სოციალური წრიდან წამოსული ადამიანები არიან, თავიანთი ყოფითი პრობლემებით, ფიქრებითა თუ დარდებით.

შიო არაგვისპირელი ერთ-ერთი იყო იმ შემოქმედთა შორის, რომელიც მოსახლეობის განვითარებისთვის და განათლების მიღების შესაძლებლობისთვის აქტიურად იბრძოდა მისი სამოქალაქო და სალიტერატურო ცხოვრებით.

„მე საზოგადოებას სრულიად არ გავეუბივარ, პირიქით, სულ იმას გცდილობ, უფრო მჭიდროდ დავუახლოვდე და შევიძინო მისგან, რის შემენაც კი შესაძლებელია და ამრიგად ჩემს შემოქმედებას სალიტერატურო უფრო მეტი საფუძვლიანობა მოვუპოვო“ (ზანდუკელი, 1966, გვ. 184).

იმ პერიოდის სამოქალაქო ცხოვრებაში ერთ-ერთი აქტიურად ჩართული წევრი, მწერალი და ყოფილი სასულიერო სემინარიელი ია ეკალაძე წერს შიო არაგვისპირელზე, რომ

„შიო არაგვისპირელი ერთი რჩეულთაგანია ქართველ მწერალთა შორის, ვინაიდან ვერ მიჩვენებთ ვერც ერთს მის ნაწარმოებს, რომ სათნოების ცრემლით განზანდილი და კაცთმოყვარეობის გრძნობით არ იყოს გაშუქებული. ასეთი ხელოვნება კი ძლიერია, ვით ხმა ქვეყნისა, უკვდავია, ვით გულისთქმა ერისა, მყარია, ვით კვარცხლბევი იალბუჯისა და გამათბობელია, ვით მზე, ჩვენი ლამაზი სამშობლოსი!“ (ეკალაძე, მწერალთა მუზეუმი, № 7 007-ბ.).

შიო არაგვისპირელის მწერლობა ყველაზე მეტად განხილულია როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სამწაერლობო ასპარეზზე ერთ-ერთი სიახლის შემომტანი, ეპოქისთვის ახალი სალიტერატურო თემებისა და გამომხატველობითი ფორმების გამზიარებელი. თითქმის არ არის განხილული მისი შემოქმედება, საზოგადოებრივი საქმიანობა და მნიშვნელობა ემიგრანტი მწერლის ჭრილში, მისი კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობით. აღნიშნული ნაშრომი მცდელობაა ავტორის ემიგრანტული საქმიანობისა და ემიგრაციაში შექმნილი ნაწარმოების შესახებ დისკუსიისთვის.

ნოველა „მოგონება“ შიო არაგვისპირელის ემიგრაციაში დაწერილი და შემორჩენილი ნაშრომებიდან ერთადერთია. ამიტომ, მას სიმბოლური დატვირთვა აქვს არა მხოლოდ ავტორის ემიგრაციული შემოქმედების განსახილველად, არამედ მნიშვნელოვანი მასალაა მისი სულიერი სამყაროს ინტერპრეტაციისთვის, წერის სტილისა თუ ღირებულებების სადემონსტრაციოდ. ნოველაში აღწერილია ერთი ჩვეულებრივი დღე სოფლად მაცხოვრებელი ბავშვებისა, რომლებიც სიხარულითა და ბავშვური ონავრობით იკრიბებიან ერთად სათამაშოდ.

ნოველა იწყება პატარა ბიჭის მოფიქრებული ოინების აღწერით, რომელიც დედისგან თავის დასაძვრენად, მეგობრებთან ერთად სათამაშოდ წასვლისთვის მოიგონა. ტექსტიდან ირკვევა, რომ ნოველის მთავარი გმირი, სანდრო, დედისერთაა და სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც დედას ეშინია შვილის მინდორში, მისი თვალისგან მოშორებით, სათამაშოდ გაშვება.

„შვილო, გულს ნუ მიხეთქავ!... სხვების აყოლა შენ არ გამოგადგება. გიგლიასა და ბეჭოს რომ დახდევ, აბა რას მოგიტანს იმათი აყოლა. იმათ დედ-მამას იმათზე მეტი სხვებიცა ჰყავთ; შენ კი დედის ერთა შეყვხარ. შენ რო მოგივიდეს რამე, ხომ მეც თავს მოვიკლავ, თავს როგორღა ვიცოცხლებ!...“ (ჯეჯილი, 1890, გვ. 6).

დედის ნათქვამმა დააფიქრა და ცოტა არ იყოს დაამორცხვა ბიჭი, რომ მეგობრებთან წასვლისთვის მისი მოტყუება დასჭირდა. თუმცა თამაშიც ძალიან უნდოდა მის თანატოლებთან. აქვე, ამ განცდებს შიშის გრძნობაც შეერია ცოფიანი ძაღლის – *„შენოდენას ეხლა მინდორში არ გაესვლება. გუშინ ახსბაძიანთ დათა კინაღამ ცოფიან ძაღლს დაეგლიჯა...“* უყვება დედა არგაშვების მიზეზის მეტად გამმაფრებისთვის (ჯეჯილი, 1890, გვ. 6).

სოფლის ყოფითი დეტალების აღწერასთან ერთად, კარგად ჩანს ამავე მაცხოვრებლებში ფესვადგმული ცრურწმენების ძალა, რაც გარკვეული სოციო-კულტურული ფონის სადემონსტრაციოდ კარგი საშუალებაა.

არამხოლოდ ნოველა „მოგონება“, შიო არაგვისპირელის შემოქმედების უმეტესი ნაწილი მკითხველს საშუალებას აძლევს სიღრმისეულად ჩაწვდეს ცხოვრების სინამდვილეს, ამქვეყნიურ სილამაზესთან ერთად ის თანაზიარი გახადოს მისი ბნელი მხარეებისაც, რაც ბუნებრივად იწვევს გარდასახვებს ადამიანების გონებასა და გულში.

ნაწარმოებში ჩართული დეტალები გარემოს აღწერის, ჰარმონიულად ერწყმის ზოგად სურათს, ავსებს მოქმედი გმირების ემოციურ ფონს და გმირების ყოფით დეტალებთან ზიარებით მეტად თანაზიარს ხდის მკითხველს აღნიშნულ გარემოსთან. ამიტომ, შიო არაგვისპირელის ნოველებში და ნაშრომში „მოგონება“ მოცემული პეიზაჟების აღწერა ღირიულია და აძლიერებს მკითხველის ემოციებს. ხშირად, ამგვარი სურათებით გადმოცემული პეიზაჟები, მთავარი გმირის შინაგანი განწყობა და ემოციები ემთხვევა ავტორისეულ განწყობას.

ნოველის ჟანრისთვის დამახასიათებელი სტილით, ნაწარმოებში მოვლენები სწრაფად ვითარდება ერთ მოცემულ სიტუაციასა და გარემოში. მსუბუქად, ერთი ამოსუნთვით აქვს აღწერილი ბავშვების „მწყერაობა“, ჟინმორეულები როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი მწყერი „მოენადირებინათ“ და ქამარზე დაეკიდათ. ვერც დალილობას გრძნობდნენ და ვერც თავარა მზეს მათ თავზე. რაც შეიძლება მეტი მწყერის საპოვნელად აგულიანებდნენ გიშერას, რომელიც ასევე გაგულისებული დარბოდა და ბიჭებთან მოჰქონდა ნადავლი. ყველაფერი მხიარულად და „გეგმის მიხედვით“ მიდიოდა, მანამ სანამ დედა მწყერთან არ მიიყვანა ბავშვები გიშერამ.

აქ იწყება ბავშვების ემოციური გარდასახვა. თითქოს ხმა ესმოდათ როგორ ესაუბრებოდა მათ დედა მწყერის ცრემლმორეული თვალები.

„რა გინდათ ჩემგან, რა დაგიშავეთ, რად მისკობთ სიცოცხლეს და შეილებს ობლად რად მიტოვებთ?!.. თუ თქვენ გინდათ სიცოცხლე, მეც მინდა ვიცოცხლო“! (ჯეჯილი, 1890, გვ. 11).

ძალღს მონადირებისას გულში კბილი ჩაერჭო მწყერისთვის. თვალცრემლიან გიგლას იმედით ეჭირა დაჭრილი ფრინველი და ბავშვებთან ერთად ეძებდა გამოსავალს მის გადასარჩენად. თუმცა მწყერმა ცრემლიანი, ნაღვლიანი თვალები მოავლო მათ და სული განუტევა. ეს იყო ბოლო წვეთი ბავშვების გულში, როცა იგრძნეს ცოცხალი არსების ტკივილი და განცდები. მათ სულში ამ მოვლენამ მნიშვნელობის გარდასახვა მოახდინა. ბავშვები, რომლებიც გამეტებით იქნევდნენ შოლტს მწყერების მოსანადირებლად, გულაჩუყებული უყურებდნენ მომაკვდავ ჩიტს და ტკივილის შესამსუბუქებლად თავის მოგლეჯაც კი ვერ გაბედეს და შეკადრეს. ეს განცდა დიდი ტკივილი იყო პატარა ბიჭებისთვის. მათ გადაწყვიტეს რომ ჩიტისთვის ბოლო „პატივი მიეგოთ“ და დაესაფლავებინათ.

ემოციურად და მორალურად განიცადეს ბიჭებმა ჩიტის სიკვდილი. აქამდე თუ მათთვის ჩიტი მონადირების ობიექტს წარმოადგენდა, ახლა სულიერი გახდა და პირადად შეიგრძნეს მისი ტკივილი. ამ ერთმა მომენტმა, ბავშვების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა. როგორც მთავარი გმირი აღნიშნავს, ამის შემდეგ გიგლა „ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს“ და უკვე ზრდასრული და წვერ-ულვაშიანი, ქათამსაც კი არ კლავდა სახლში.

ღრმა ემოციური ფონი ნოველაში არ არის მხოლოდ ემიგრაციის გავლენა, თუმცა ემიგრაციაში მყოფ ავტორს სამშობლოს სიყვარული გაორმაგებით სტანჯავდა.

ნოველა „მოგონებაში“ დაცულია შიო არაგვისპირელისთვის დამახასიათებელი წერის სტილი, როცა გმირების ემოციურ ფონს აღწერს ღრმა ფსიქოლოგიზმით და მკითხველს მათ სულიერ სამყაროში ამოგზავნებს. ასევე, კარგად ჩანს ავტორის ჰუმანური ბუნება და სურვილი-საზოგადოების უკეთესობისკენ გარდაქმნის.

შიო არაგვისპირელის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ამბის თხრობისას სპეციფიკური ლექსიკური თუ კუთხური ერთეულების გამოყენება, რითაც ავტორი იმ სივრცეში გვამოგზავნებს, სადაც მოქმედება ხდება. არც ნოველა „მოგონება“ არის ამ მხრივ გამონაკლისი. ე.წ. ხალხური მეტყველებით, მარტივი ლექსიკური ერთეულებითა და უშუალო დიალოგებით არის აგებული ტექსტი, სადაც გამოყენებულია ტიპური, დიალექტური სიტყვები. მაგალითად:

„პერანგა გარეთ გავვარდი“ (გვ.5); „აცხა, აცხა! აი, შე ვერანავ, შენა!“ (გვ.6); „სამწყერაოდ წასვლა“ (გვ. 6); „სხალტი“ (გვ. 7); „ბებინათ თუთაც ძალიანა მწიფს!“ (გვ.8); „ეს ვერანა, ესა!“ (გვ.12); „რომ დავეკითხენით, შენ კი არ გინდაო!“ (გვ. 12)... „მოგონება, ყმაწვილობის ცხოვრებიდან“.

ამბის თხრობა მეხსიერების აქტია. ეს შეიძლება იყოს ერთი ცხოვრებისეული მოვლენის, დღის გახსენება. ზოგჯერ ავტორისმიერ კონკრეტული ამბის მოგონება და გადმოცემა ამა თუ იმ ფორმით, რომელიც უფრო მის იმჟამინდელ სურვილებს და მისწრაფებებს შეიძლება წარმოაჩენ-

დეს, ვიდრე რეალურ წარსულ მოვლენებს. ადამიანის მეხსიერება ყალიბდება გარემოსთან მუდმივ ინტერაქციაში და ლიტერატურაშიც მისი სხვადასხვაგვარი რეცეფცია გვხვდება. აქედან გამომდინარე, არსებობს კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერება, რომელიც განსაზღვრავს წარსულის დამახსოვრებას, გააზრებას, დავიწყებას თუ მის გადმოცემას (Nora, 1989, გვ.24).

მხატვრულ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინოლოგია დამკვიდრდა ამბის თხრობის სტილის, სპეციფიკის, მოგონებებისა თუ კოლექტიურ მეხსიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცესების გადმოსაცემად. ერთ-ერთი ასეთია – მეხსიერების რომანი. ამ სტილისთვის დამახასიათებელია – ავტორებმა სხვადასხვა სტილის თხრობით გადმოსცენ პირადი გამოცდილება. ლიტერატურული ტექსტები გვაძლევს წარმოდგენას გარდასულ დღეებზე, კონკრეტული მოგონებების საშუალებით და ავტორის მიერ გამოყენებული ხერხებით შეიძლება ამბავი წარმოაჩინოს ე.წ. თემური ხმით (როცა გადმოიცემა განსაზღვრული მოგონებების მქონე თემის მიერ განცდილი მოვლენები), პიროვნული ხმით (როცა გადმოიცემა პირის ინდივიდუალური ცხოვრებისეული ამბავი, ახლო წარსულში მოხდარი) და გამოიყოფა ე.წ. ავტორისეული ხმა, რომელი თხრობის მიზანიცაა მიანიჭოს განცდილს აზრი და ავტორიტეტი თავის კომენტარებით, განსჯითა და შეფასებებით. (ლიტერატურა და კოლექტიური მეხსიერება, 2024, გვ.109) თუ სხვ.

„მეხსიერების რომანში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მხატვრული სივრცე და მოქმედ პირთა გადაადგილება მასში. მოქმედების ადგილის ცვლილება ხშირად თვითმეგობრის განახლებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ემიგრაციაში უცხო კულტურული გარემოცვის არამდგრადობის გამო მოქმედი პირის იდენტობა საფრთხის წინაშე დგება. ამ ვითარებაში საიმედო ადგილისკენ ლტოლვა მთავარ თემად იქცევა ხოლმე და მოქმედი პირის მიერ მეხსიერებაში შენახული სივრცეებისკენ გაქცევით წარმოჩინდება“ (ლიტერატურა და კოლექტიური მეხსიერება, 2024, გვ.113).

ამგვარად, მეხსიერების ადგილები მოქმედ პირებს ალუმბრავენ მოგონებებს გარდასულ დღეებზე, როცა ამბები და ეს ადგილები სიმბოლურ დატვირთვას იძენენ. განსაკუთრებით ემოციურად რთულ მდგომარეობაში, ემიგრაციაში მყოფი ავტორების ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ამ თეორიაზე დაყრდნობით, შიო არაგვისპირელის მიერ ემიგრაციაში შექმნილი ნოველა „მოგონება“ სიმბოლურად, ბავშვობასთან და წარსულის ყველაზე თბილ მოგონებასთან ზიარების საშუალება იყო, მისთვის მძიმე და რთულ პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არაგვისპირელი, შიო. „ავტობიოგრაფია, მწერალთა მუზეუმი, 16 066-ბ. ეკალაძე, ი., „შიო არაგვისპირელის გავლენა მაშინდელ სემინარიელთა ლიტერატურის წრეზე“, მწერალთა მუზეუმი, 7 007-ბ.
- მიქაბერიძე, ალ. „შიო არაგვისპირელი“ (მოგონების სახით), მწერალთა მუზეუმი, 13 147-ბ, 16.
- მწერალთა ავტობიოგრაფიები, (2013). I წიგნი, თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/140125>
- ზანდუკელი,მ.(1966). შიო არაგვისპირელი, ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/403604/1/Shio_Aragvispireli_1966.pdf
- ზახუტაშვილი, ანა. „მოგონება“, მწერალთა მუზეუმი, 20554-ბ.
- პატარიძე, ს. ცაგარელი, ლ. ბოკუჩავა, ნ., (2024). ლიტერატურა და კოლექტიური მეხსიერება, თბილისი: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჯეჯილი, (1890). მოგონება, 5, თბილისი.
- Pier, N. (1989). „Between Memory and History: Les Lieux de Mémoire“, in: Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory.

References:

- Aragvisp'ireli, Shio. „Avt'obiograpia. [“Autobiography”]. Mts'eralta muzeumi, 16 066-kh.
- Ek'aladze, I., „Shio Aragvisp'irelis gavlena mashindel seminarielta lit'erat'uris ts'reze”. [“The Influence of Shio Aragvispireli on the Literature Circle of the Seminarians of that Time”]. Mts'eralta muzeumi, 7 007-kh.
- Mikaberidze, Al. „Shio aragvisp'ireli“ (mogonebis sakhit). [“Shio Aragvispireli” (in the Form of a Memoir)]. Mts'eralta muzeumi, 13 147-kh, 16 mts'eralta
- Avt'obiograpiebi, (2013). I ts'igni. [Writers' Autobiographies]. Tbilisi: Giorgi Leonidzis sakhelobis kartuli lit'erat'uris muzeumi. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/140125>
- Zanduk'eli, M. (1966). Shio Aragvisp'ireli, tskhovreba da shemokmedeba. [Shio Aragvispireli, Life and Creativity]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/403604/1/Shio_Aragvispireli_1966.pdf
- Zakhut'ashvili, Ana. „Mogoneba“. [“Memory”]. Mts'eralta muzeumi, 20554-kh.
- P'at'aridze, S., Tsagareli, L., Bok'uchava, N. (2024). Lit'erat'ura da k'olekt'iuri mekhsiereba. {Literature and Collective Memory}. Tbilisi: „Ilias sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba“.
- jejili, (1890). Mogoneba. [Memory]. 5, Tbilisi.